# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 29 ივლისი 2006 №173 (2795) ფასი 50 თეთრი


## მეთვრამეტე მიპატიჟება ყურის ასაწევ სახლში დღეს ეროვნული იწყება

მოგენატრათ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი? კი, ვიცით ზოგადად ქომაგის აზრი და ამ აზრში ირონიას არცთუ მცირე ადგილი უჭირავს, მაგრამ ჩვენია ეს ჩემპიონატი და ჩვენსასვე ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ. იქნებ არ იყოს მთლად დახვეწილი შედარება, მაგრამ, ქართული ფეხბურთის სამშობიარო სახლი ესაა, სხვა არ არსებობს და აკი მომლოდინე მამასავით ყველას ერთი სული გვაქვს, „ბიჭია, ბიჭი!“ გავიგოთ. აგერ, ბატონო, ჩვენი ყურები და ხელიც ილბლისა იყოს.

გულნაკლულობას და გუნდნაკლულობას კი ვერ ავცდით — „ცხინვალის“ და „კოლხეთის“ გასაჭირმა 14-გუნდიანი გახადა უმაღლესი ლიგა, რომელიც დღეს ოთხი მატჩით იხსნება... თბილისში „მიხეილ მესხზე“, ზესტაფონში, გორში და თელავში საქართველოს დროშა აღიმართება და ჰიმნიც აჟღერდება...



„ამერი“ „ჰერტასთან“ პირველ მატჩს ნამუნდიალევ „ოლიმპიაშტადიონზე“ ითამაშებს

## ჰერტა ამერისთვის: დიდი გამოცდა და დიდი გამოცდილება

ბერლინის „ჰერტა“ თავისი მარსელინიოთი და ბაშთურქით გრანდი არა, მაგრამ ძალიანაც ღონიერი გერმანული კლუბია და სწორედ იგი ერგო თბილისის „ამერს“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. გიორგი ჩიხრაძის გუნდს მართლაც სერიოზული გამოცდები ელის 10 და 24 აგვისტოს...

„ჰერტა“ გუშინ ნიონში გამართულ კენჭისყრაზე ერგოთ გლდანელ ებს. უეფას თასამდე კი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა მოეწყო და, ბოლნისის „სიონს“ იტალიური „კიევოს“ ნახვა თუ უნდა, როგორი სათქმელია, მაგრამ, „ლევსკის“ ბარიერი გადალახოს და...

ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს კი, როგორც იცით, რამდენიმე გრანდიც შეუყვება: „მილანი“, „ლივერპული“, „ვალენსი “, „არსენალი“... ჩვენ კი ყველაზე მეტად უეფა და „ჰერტა“ — „ამერი“ გვაინტერესებს.

## გორდონსერვისი: ჰერბერტმა საქართველოს და ტრაიანოს ერთმანეთი აპოვნინა, თვითონ კი სხვასთან წავიდა



საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ გუშინ დაადასტურა ის, რაც კანადურ პრესაში ორიოდ კვირის წინ დაიწერა — „ტორონტო რეპტორზის“ ასისტენტი მწვრთნელი ჯეი ტრაიანო საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცად დაინიშნა.

და სადაა გორდონ ჰერბერტი, რომელსაც კალათბურთის ფედერაციამ ორიოდ თვის წინ ახალი კონტრაქტი გაუფორმა? ჰერბერტი ფედერაციისა და ეროვნული გუნდის კონსულტანტი გახდა, ანუ სამწვრთნელო საქმეებს მთლიანად ჩამოშორდა.

ტრაიანოს ასისტენტები იქნებიან პარიზულ „რასინგში“ ჰერბერტის თანაშემწე კენ ატკინსონი და ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი დავით უსტიაშვილი. ტრაიანოც და ატკინსონიც, ეჭვი არაა, ჰერბერტმა გამოუძებნა ქართულ მხარეს, თავის სამწვრთნელო ნიჭიერებას კი მისთვის ახლახან ჩაბარებულ ფრანგულ „პოორტეზს“ მოახმარს.

ტრაიანო ჰერბერტზე ტიტულოვანი მწვრთნელია. 7 წელი ის კანადის ეროვნულ ნაკრებს თავკაცობდა და ოლიმპიადასა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავი არ შეურცხვენია. ჰერბერტი კი ტრაიანოს ასისტენტობდა „ნეკერჩხის ფოთოლთა“ გუნდში.

## ფაბიო კაპელო ძვირფას სათამაშოებს აგროვებს
### ვან ნისტელროიც გაათეთრა

გუშინ მადრიდის „რეალმა“ ფაბიო კანავაროსა და ემერსონის შემდეგ მესამე ახალწვეული შეიმატა — „მანჩესტერ იუნაიტედის“ აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა, ჰოლანდიელმა რუუდ ვან ნისტელროიმ შუადღისას სამედიცინო შემოწმება გაიარა, საღამოს კი „სამეფო კლუბთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვან ნისტელროის წლიურ ხელფასად 5 მილიონი ევრო დაუნიშნეს.

„რუუდის ტრანსფერით ძალიან კმაყოფილი ვარ. მისი გადმოყვანა ფაბიო კაპელოს დაჟინებული თხოვნის შედეგია. დარწმუნებული ვარ, ვან ნისტელროი ჩვენთვისაც ბევრს გაიტანს“ — განაცხადა კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა.

„ეს ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში. გახდე ისეთი დიადი გუნდის ფეხბურთელი, როგორიც მადრიდის „რეალია“, სიამაყესთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობასაც გაკისრებს. იმედი მაქვს, გოლებს ჩემი ახალი კლუბისთვისაც გავიტან“ — ეს კი თავად ვან ნისტელროის სიტყვებია.

„რეალმა“ „მანჩესტერს“ 30 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაუხადა.



# არის ჰერთა, იყოს ჰერთა

## ჰერთა
### ბერლინი, გერმანია

დაარსდა 1892 წლის 25 ივლისს
კლუბის პრეზიდენტი: ბერნდ შიპჰორსტი
ვიცე-პრეზიდენტი: იორგ თომასი
გენერალური მენეჯერი: დიტერ ჰიონესი
მთავარი მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
კაპიტანი: დიკ ვან ბურიკი
სტადიონი: „ოლიმპიაშტადიონი" (ტევადობა 74 500)
გერმანიის ჩემპიონი (2): 1930, 1931
გერმანიის ლიგის თასის მფლობელი (1): 2003
ჩემპიონთა თასზე:
14 თამაში: 3 მოგება, 5 ფრე, 6 წაგება; ბურთები 12:18
უეფას თასზე:
48 თამაში: 26 მოგება, 11 ფრე, 11 წაგება; ბურთები 64:38
ინტერტოტოს თასზე:
2 თამაში: 1 მოგება, 1 ფრე, 0 წაგება; ბურთები 2:0



„სელტიკი", „ბილბაო", „ლევერკუზენი", „სპორტინგი", პსვ... — ეს იმ მეტნაკლებად სახელოვანი გუნდების ჩამონათვალია, რომლებსაც დამოუკიდებელ საქართველოში უთამაშიათ.

ახლა კი გერმანული „ჰერტა".

ნაცნობობა პირველი: ბერლინის „ჰერტა" ქართულ გუნდს პირველად 1978 წელს შეხვდა. მაშინ გერმანელთა მეტოქე, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამო" იყო. დასავლეთ ბერლინში პირველი მატჩი 2:0 დამთავრდა. საპასუხო კი თბილისში მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ მხოლოდ 1:0 და უეფას თასის მერვედფინალშიც გერმანელები გავიდნენ.

ნაცნობობა მეორე: ბერლინის „ჰერტა" დღეს უკვე სულ ოთხი წლის თბილისის „ამერის" მეტოქეა. პირველი მატჩი ბერლინის უცნობილეს „ოლიმპიაშტადიონზე" 10 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო თბილისის „მიხეილ მესხზე" 24 აგვისტოს.

ახლა ცოტა რამ „ამერის" მომავალ მეტოქეზე: „ჰერტა" გერმანიაში ერთ-ერთი უძველესი კლუბია და, შესაბამისად, მიუნხენის „ბაიერნს" თუ არ ჩავთვლით, თავის ქვეყანაში ძალიან პოპულარულია. მართალია, ბერლინელები დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან, თუმცა ბუნდესლიგაში სტაბილურობით გამოირჩევიან. წინა სეზონში „ჰერტა" ახალი მწვრთნელის ფალკო გიოტცის ხელში ბუნდესლიგაში მეექვსე იყო და წლევანდელ ევროსარბიელს ინტერტოტოდან შეუერთდა. ორი კვირის წინ გერმანელებმა „მოსკვა" დაამარცხეს და ამ გამარჯვებით გადაინაცვლეს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. „ჰერტამ" „მოსკვას" პირველად „ოლიმპიაშტადიონზე" უმასპინძლა, მატჩი უგოლო ფრით დამთავრდა, ერთი კვირის თავზე კი „ჰერტამ" მოსკოვში 2:0 იმარჯვა.

„ჰერტას" ვარსკვლავები არ ჰყავს, თუმცა ამ გუნდში თამაშობენ სხვადასხვა ნაკრების ფეხბურთელები. ჟილბერტო ბრაზილიის ეროვნული გუნდის წევრია, იოზეფ შიმუნიჩი ხორვატიის ნაკრებშია, ილდირაი ბაშთურქი თურქეთისაში, ხოლო არნე ფრიდრიხი გერმანიის მთავარგუნდის მარცხენა მცველია. შიმუნიჩი გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატიდან კარგად უნდა გახსოვდეთ — ინგლისელმა არბიტრმა გრემ პოლმა იაპონელებთან მატჩისას სამჯერ გააფრთხილა და მხოლოდ ამის შემდეგ დაითხოვა მოედნიდან.

ბერლინელებს წლეულს ახალი სპონსორი ჰყავთ — გერმანიის რკინიგზა და „ჰერტას" ახლანდელ მაისურებზე შესაბამისი აბრევიატურაც გაჩნდა — DB. მიუხედავად ამისა, „ჰერტას" ამ ზაფხულს მნიშვნელოვანი ტრანსფერები არ გაუკეთებია და ოდენ 22 წლის თავდამსხმელი სრდჯან ლაკიჩი შეიძინა ხორვატიული „კამენიდან".

„ჰერტაში" თამაშობს ბრაზილიელი მარსელინიოც, რომელიც უდისციპლინობით გამოირჩევა და თითქმის ყველა შეკრებაზე აგვიანებს ხოლმე. მან გუნდის შეკრებაზე ახლაც დაიგვიანა, ბრაზილიაში დროსტარება გაუგრძელდა და ამისათვის მარსელინიო ბერლინელებმა ტრანსფერზე დააყენეს.

დღესდღეობით „ჰერტას" გამოკვეთილი ლიდერი არავინ ჰყავს. თუმცა ახლო წარსულში გუნდში მიხაელ პრეეცი, სებასტიან დაისლერი და დარიუშ ვოში თამაშობდნენ, ფეხბურთელები, რომლებიც გერმანიაში ძალიან პოპულარულები იყვნენ და არიან.

„ამერის" მეტოქის მთავარი დამრტყმელი ძალა სერბი მარკო პანტელიჩია, ვინც ადრე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" მეგოლე იყო. სადღეისოდ კი მას თურმე თავდასხმაში ტოლ-სწორი პარტნიორი არ ჰყავს და ამ გუნდის ბოლოდროინდელი მწირშედეგიანობაც ამით აიხსნება.

გუშინ, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის დამთავრებიდან ერთი-ორი საათის შემდეგ ჩვენს ძველ ნაცნობს, „ჰერტას" თურქ გამთამაშებელ *ილდირაი ბაშთურქს* დავუკავშირდით და გუნდის თავდასხმის პრობლემაზეც სწორედ მან გვითხრა. თუმცა, ცხადია, ბაშთურქთან მხოლოდ თავდასხმაზე არ გვისაუბრია...

— წილისყრის შედეგები არ ვიცი და თუ მეტყვით, „ჰერტას" ვინ შეხვდა, დიდი მადლობელი დაგრჩებით.

ილდირაი ბაშთურქმა მომავალი მეტოქის ვინაობა ჩვენგან გაიგო.

— არა, ქართული კლუბების შესახებ არაფერი ვიცი და არც არაფერი მსმენია. საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მითამაშია და თუ ნაკრების დონით განვსაზღვრავთ, ცხადია, ქართული გუნდი ხელწამოსაკრავი მეტოქე არ უნდა იყოს.

— წლეულს „ჰერტას" რა მიზნები აქვს?

— ისევე, როგორც წინა სეზონში, ჩვენი მიზანი ბუნდესლიგის ხუთ-ექვს საუკეთესოს შორის მოხვედრაა. უეფას თასის ამ გათამაშებაში კი „ჰერტასგან" თასის აღებას, ვფიქრობ, არავინ ელის. თუმცა, რაც უფრო შორს წავალთ, მით უკეთესი იქნება.



ფალკო გიოტცი



ილდირაი ბაშთურქი

— „ამერამდე" „ჰერტას" მეტოქე „მოსკვა" იყო. რუსების ძლევა კი გაგიჭირდათ...

— დიახ, ასე იყო. „მოსკვასთან" პირველ მატჩამდე გუნდი სულ ერთი კვირის შეკრებილი იყო. მართალია, საპასუხო შეხვედრა 2:0 მოვიგეთ, მაგრამ მოსკოვშიც ძალიან გაგვიჭირდა.

— ამ მატჩში მეორე გოლი თქვენ გაიტანეთ...

— ჩანს, „ჰერტას" ნახევარმცველებს, წინა სეზონის მსგავსად, ახლაც ყველაზე მეტი დატვირთვა გვექნება. გუნდში სულ ერთი მაღალი დონის თავდამსხმელია — პანტელიჩი. უმეტესად გოლები მას გააქვს.

— პანტელიჩის მეწყვილე ვინ არის?

— მისი დონის არავინაა. მწვრთნელი და ხელმძღვანელობა ფიქრობენ, რომ მეორე მაღალი დონის თავდამსხმელი იყიდონ, მაგრამ კლუბს ისეთი ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს, ვარსკვლავი შეიძინოს.

## ჰერტა (ბერლინი, გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| | მეკარეები | |
| 12 | კრისტიან ფიდლერი | 27.03.75 |
| 33 | კევინ სტურ-ელეგაარდი | 23.05.83 |
| 40 | ნიკო პელაცი | 08.07.86 |
| | მცველები | |
| 3 | არნე ფრიდრიხი | 29.05.79 |
| 4 | დიკ ვან ბურიკი | 29.11.73 |
| 6 | ჟილბერტო | 25.04.76 |
| 14 | იოსიპ შიმუნიჩი | 18.02.78 |
| 23 | დენის კაგარა | 19.02.85 |
| 27 | ამადეუს ვალშლეგერი | 01.09.85 |
| 29 | მალიკ ფატი | 29.10.83 |
| 32 | რობერტ მიულერი | 12.11.86 |
| 35 | კრისტოფერ შამბა | 28.03.84 |
| | ნახევარმცველები | |
| 5 | სოფიან ჩაჰედი | 18.04.83 |
| 7 | ილდირაი ბაშთურქი | 24.12.78 |
| 8 | პალ დარდაი | 16.03.76 |
| 10 | მარსელინიო | 17.05.75 |
| 11 | ელერი კაირო | 03.08.78 |
| 17 | კევინ-პრინს ბოატენგი | 06.03.87 |
| 20 | ანდრეას ნოინდორფი | 09.02.75 |
| 31 | ანდრეას შმიდტი | 14.09.73 |
| 37 | კრისტიან მიულერი | 28.02.84 |
| 38 | პატრიკ ებერტი | 17.03.87 |
| | თავდამსხმელები | |
| 9 | მარკო პანტელიჩი | 15.09.78 |
| 16 | აშკან დეჯაგაჰი | 05.07.86 |
| 18 | სრდიან ლაკიჩი | 19.12.83 |
| 21 | სოლომონ ოკორონკვო | 02.03.87 |
| 39 | ჩინედუ ედე | 05.02.87 |
| | მწვრთნელი | |
| ფალკო გიოტცი (შვეიცარია) | | 26.03.62 |

...ეს რაც შეეხებოდა „ჰერტას". ახლა კი „ამერის" პრეზიდენტი *ზურაბ ფოცხვერია*... ის ნიონში გამართულ წილისყრას ესწრებოდა და მეტოქის ვინაობის შეტყობისთანავე დავუკავშირდით.

— წილისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ. რატომაც არა, არის „ჰერტა" და იყოს „ჰერტა". უეფას თასზე ადრე თუ გვიან მაინც შეგვხვდებოდა ამ დონის მეტოქე. გერმანელებთან თამაში „ამერისთვის" საფეხბურთო და საორგანიზაციო თვალსაზრისითაც კარგი პრაქტიკა იქნება. ბუნდესლიგის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან თამაში ჩვენი გუნდისთვის დამატებით მოტივაციად გამოდგება.

**— მომავალი მეტოქის წარმომადგენლებს უკვე შეხვდით?**

— არა. უეფას თასის მონაწილე გუნდებიდან დღევანდელ წილისყრას მხოლოდ ალბანური „ტირანას" და „ჰერტას" წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. გერმანელებთან მატჩების საორგანიზაციო საკითხებზე მოლაპარაკებას ამ დღეებში დავიწყებთ. პირველი მატჩი კი ნებისმიერ შემთხვევაში 10 აგვისტოს ბერლინში იქნება.

**კობა ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლოგიკამ ერევანში იღაღადა

## გიორგი ჩიხრაძე: ჰერტას სახელს ჩვეულებრივად შევხვდი

„ამერმა“ შარშანდელი „ლოკომოტივის“ ვარიანტი არ გაიმეორა და სომხური „ბანანცი“ ორი მატჩის ჯამში იქით დაჩაგრა. არადა, შინ წაგებული 0:1-ის შემდეგ გლდანელთა შანსები ფერმკრთალად მოჩანდა. ოთხი წლის კლუბი წლეულს პირველად გავიდა ევროტურნირებზე და, მართალია, დევგმირი გუნდი არ გაუგდია, მაგრამ მაინც საამო საქმე გააკეთა.

წინ მეორე ეტაპი და „ჰერტაა“, ამერელთა მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძის ფიქრებიც, ცხადია, ბერლინისკენაა, თუმცა მანამდე „ბანანცთან“ მოგებულ თამაშზე გვესაუბრება...

— რა იყო მთავარი, რამაც „ამერს“ „ბანანცთან“ მოაგებინა?

— ბოლო ორი კვირა ნაყოფიერად გამოვიყენეთ, ამხანაგური მატჩების დანაკლისი შევავსეთ. „ბანანცთან“ შინ წაგება სათამაშო პრაქტიკის არქონის ბრალიც იყო — აქ სეზონი არ დაწყებულა და რამდენი ტესტ-მატჩიც გვქონდა დაგეგმილი, მდენი ვერ ვითამაშეთ, სომხეთში ი გაგანია ჩემპიონატია. პირველ შევედრაში ამანაც იმოქმედა და ისიც უნდა ვთქვა, რომ „ბანანცთან“ თბილისშიც გვქონდა უპირატესობა, ეგაა, მაშინ გოლად ვერ გარდავსახეთ. ერევანში კი დასაკარგი აღარაფერი იყო. პირველ ტაიმში გოლი გავუშვით, მაგრამ ბიჭები არ დათრგუნულან — ორი ბურთი ხომ ისედაც უნდა გაგვეტანა. გაშვებულმა გოლმა უფრო აგვაჩქარა, ძალიან აგრესიულად მივაწექით მეტოქეს.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ „ამერი“ „ბანანცზე“ უკეთესი გუნდია? ანუ, ამ გუნდების მატჩებიდან ლოგიკური შედეგი სწორედ ერევანში დაფიქსირდა?

— დიახ, სწორედ ასეა. პირველ მატჩში წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით და არც იმ უსიამოვნო ფონს, რაც შეიქმნა. თითქოს „ამერის“ მარცხით დაიქცა ქართული ფეხბურთი... მოთამაშეებს თბილისური წაგების შემდეგაც ეიმედებოდათ შემდეგ ეტაპზე გასვლა.

— შემდეგ ეტაპზე გასვლის ბედი კი, ფაქტობრივად, ორ წუთში გადაწყდა...

— ეს რაც შეეხება გოლებს, თუმცა 2:1-ის შემდეგაც იყო სამი-ოთხი კონტრშეტევა, სადაც კიდევ შეიძლებოდა გატანა. საბრძოლო განწყობა გვქონდა და რწმენით ვითამაშეთ.

— იური გაბისკირიას ნაცვლად ძირითადში დავით ბოლქვაძის დაყენებამ გაამართლა?

— იცით, აბსურდია, თითქოს პირველი მატჩი იური გაბისკირიას სუსტი თამაშის გამო წავაგეთ. მაშინ მთლიანად გუნდი ვერ გაისარჯა კარგად.

— „ამერისთვის“ უეფას თასის ერთი ეტაპის გავლაც კი წარმატებაა. ასე არ ფიქრობთ?

— ვთვლი, რომ „ბანანცის“ ეტაპი უნდა გადაგველახა. ამიტომაც ჩვენ მოგებას სენსაციად ვერ აღვიქვამ. შესაბამისად, არც რაღაც საოცრება მოგვიხდენია...

— მეორე ეტაპზე ბერლინის „ჰერტას“ ხვდებით, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდს, რომელიც შეიძლებოდა კენჭისყრაში შეგხვედროდათ...

— ყოველგვარი კომპლექსის გარეშე უნდა ვითამაშოთ. წასაგებად არასოდეს გავდივართ მინდორზე და ბიჭებსაც უნდა ჩავუნერგო რწმენა, რომ ბოლომდე იბრძოლონ, მეტოქის სახელს არ შეუშინდნენ. „ჰერტა“ იქნება თუ „ბანანცი“, პროფესიონალები ვართ და მთელი ენერგია უნდა ჩავაქსოვოთ თამაშში. ასე რომ, კენჭისყრამდე არ მიმარჩიელია, ნეტავ, ის ან ეს არ შეგვხვდეს-მეთქი...

— 31 ივლისს ეროვნულ ჩემპიონატს „ჩიხურასთან“ საშინაო მატჩით იწყებთ. გადაღლილი ხომ არაა „ამერი“?

— არა, გადაღლა ნაკლებად. საკმაო რაოდენობის ფეხბურთელები გვყავს და საჭირო მომენტში შეცვლების არ მეშინია.

**ილია ნანოგაშვილი**




# შეხვედრა პატარკაციშვილთან

## დინამოს პრეზიდენტით თუ ამოვწურავთ

გუშინ საქართველოს უტიტულოვანესმა გუნდმა სეზონისწინა პრესკონფერენცია გამართა — დიღმის ბაზაზე ჟურნალისტების წინეშე თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი კახა კაჭარავა წარდგნენ. პრესკონფერენცია ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი „დინამოს“ და მის სპონსორ „ბეკოს“ შეეხებოდა

„დინამოს“ მმართველმა დირექტორმა გიორგი ტყავაძემ გვამცნო, რომ კლუბი „ბეკოსთან“ კონტრაქტს ერთი წლით აგრძელებს. „ბეკოს“ წარმომადგენელმა ილჰამ ბაირამოვმა კი დასძინა, რომ „დინამო“ ახალ სეზონში აუცილებლად გახდება საქართველოს ჩემპიონი და მხარეებმა ჟურნალისტების თანდასწრებით გააფორმეს კონტრაქტი.

ამის შემდეგ კი პრესკონფერენციაზე უშუალოდ „დინამოზე“ გაჩაღდა კითხვა-პასუხი.

*ტყავაძე:* ინტერტოტოს თასზე თამაში გუნდის სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპში შედიოდა, თუმც ამ ტურნირში შედეგზეც ვფიქრობდით თუნდაც იმიტომ, რომ ეს ფინანსურადაც საინტერესო იყო კლუბისთვის. ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპი ვერ გადავლახეთ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „დინამო“ ამ დროისთვის დაკომპლექტების სტადიაში იყო. რამდენიმე ფეხბურთელთან მოგვიწია განშორებამ. ახალ სეზონში „დინამო“ კვლავ ორი ტიტულისთვის, ჩემპიონობისთვის და თასისთვის იბრძოლებს.

— ახალი ფეხბურთელების დამატებას კიდევ აპირებთ?

*ტყავაძე:* აგვისტოს ბოლომდე კიდევ შეგვიძლია ფეხბურთელების დამატება, ჩვენი თვალთახედვის არეში არიან ლეგიონერებიც ბრაზილიიდან და კამერუნიდან.

— „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბი როგორი იქნება?

*ტყავაძე:* გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი კახა კაჭარავა იქნება, მას გელა ჭანტურია და გია ჯიშკარიანი დაეხმარებიან. კაჭარავას მუშაობით „დინამო 2-ში“ კმაყოფილი ვიყავით და ამიტომაც მივეცით ასეთი შანსი. ის იქამდე იქნება მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი, სანამ გუნდს კარგი შედეგი ექნება და თუ წარმატებებს მიაღწევს, შესაძლოა, მთავარი მწვრთნელიც გახდეს. ამავე დროს ვფიქრობთ უცხოელი მწვრთნელის მოწვევაზეც. ერთი სიტყვით, ყველაფერს მოვლენების განვითარება გვიკარნახებს.

— შარშან ფეხბურთელები რომ მიჰყიდეთ ვლადიკავკაზის „ალანიას“, ამ ტრანსფერებიდან კუთვნილი ფული ჯერაც არ მიუღია „დინამოს“?

*ტყავაძე:* არა. ამ საკითხს ფიფა იხილავს და მისგან ველოდებით საბოლოო გადაწყვეტილებას.

— გუნდის სეზონისწინა მზადყოფნაზე რას იტყოდით?

*კაჭარავა:* ბოლო შეკრება სიმფეროპოლში გვქონდა, სამჯერად ვარჯიშებს ვატარებდით და ამხანაგური მატჩები დიდი დატვირთვების ფონზე ვითამაშეთ. მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ. „დინამოს“ საშუალო ასაკი 20-21 წელია და ახალგაზრდების დიდი იმედი გვაქვს. ჩემპიონობა და თასი — სხვა მიზანი „დინამოს“ არ აქვს. რამდენიმე ფეხბურთელზე უარი იმიტომ ვთქვით, რომ გუნდში ცვლილებები აუცილებელი იყო — წინა სეზონში „დინამო“ მესამე ადგილზე გავიდა, რაც „დინამოს“ წარმატებად ვერ ჩაეთვლება. ვეძებთ ახალ გზებს და აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ. ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე ექვსი დინამოელია მიწვეული.

*ტყავაძე:* „დინამოში“ გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან — გრიშიკაშვილი, ბობოხიძე და ხუციშვილი.

— რომელ სტადიონზე გამართავს საშინაო მატჩებს „დინამო“?

*ტყავაძე:* პირველ წრეს „მიხეილ მესხზე“ ვითამაშებთ, მერე კი ვნახოთ.

— როგორც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, რა აზრის ხართ 14-გუნდიან ჩემპიონატზე და იმაზე, რომ გორის „დილა“ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე დაუშვეს უმაღლეს ლიგაში?

*ტყავაძე:* ასეთია ჩვენი რეალობა და ამას ვერ გავექცევით. 14-გუნდიანი ჩემპიონატის მომხრე იმიტომ არ ვარ, რომ 26 თამაში ოპტიმალურ რაოდენობად არ მიმაჩნია.

— ყველაზე უფრო რომელ რგოლში სჭირდება „დინამოს“ გაძლიერება?

*კაჭარავა:* ნახევარდაცვაში და თავდასხმაში.

— „დინამოს“ წლიური ბიუჯეტი შემცირდა?

*ტყავაძე:* ბიუჯეტი არ შემცირებულა, დაახლოებით ისეთია, როგორიც შარშან.

— ყველა კითხვაზე პასუხს აქ ვერ მივიღებთ — შესაძლებელია ჟურნალისტების შეხვედრა კლუბის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან?

*ამირან ლიბრაძე, „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი:* ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ამ იდეას კლუბის პრეზიდენტს აუცილებლად მივაწვდით.

პრესკონფერენციის შემდეგ „დინამოს“ ახალწვეულებს მუდმივნომრიანი მაისურები გადასცეს — მიხეილ ხუციშვილს 10 ნომერი ერგო, ზამირ ჯანაშიას 30.

გიორგი ტყავაძეს კი ისიც არ დავიწყნია, რომ „ამერისთვის“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა მიელოცა, ხოლო ბოლნისის „სიონს“ ბულგარეთის ჩემპიონთან საპასუხო მატჩში წარმატება უსურვა.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
1 ტური ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ქართული ფეხბურთი ფიზიკის წინააღმდეგ: სიცხეში იკუმშება

## თოთხმეტგუნდას კატეგორიები

დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იწყება, თოთხმეტგუნდამდე შემცირებული უმაღლესი ლიგა, სადაც 6-7 დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდს შეუძლია დიდი მიზნებისთვის ბრძოლა, 3-4 გუნდს მათთვის ნერვების მოშლა და ქულებისართმევა, ხოლო არგასავარდნად ალბათ 2-3 აუტსაიდერი იბრძოლებს. და თუ რა ვითარებაა ამ სამ კატეგორიად დაყოფილ გუნდებში, აქვე მოგახსენებთ


ბადრი კეთილაძის ფოტო

**სიონი**

გუნდიდან საყრდენი ნახევარმცველი ლევან ხმალაძე და შემტევი მიხეილ ხუციშვილი წავიდნენ, მაგრამ „სიონმა" სელექცია იმდენად გაიფართოვა, რომ სამი კამერუნელი დაიმატა და აქედან ორმა, მცველმა ბოიომო ფრიდოლინმა და ფორვარდმა ერიკ რომეო ჩასემმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს თავი და, რა თქმა უნდა, ეროვნულ ჩემპიონატშიც დიდად გამოადგებიან „სიონს". საქართველოს ჩემპიონი სეზონს განახლებული სტადიონით შეხვდება, ფარმ-კლუბიც ეყოლება და ყველაფერი ეს იმის მანიშნებელია, რომ კლუბი სტრუქტურულად იხვეწება. „სიონი" ახალ სეზონშიც რომ უმაღლესი მიზნისთვის იბრძოლებს, წყალი არ გაუვა — გუნდს საამისოდ ყველა პირობა აქვს.

**ვიტ ჯორჯია**

ეს კლუბი თავის პოლიტიკას არ ღალატობს, აქცენტს კვლავ საკუთარ, ახალგაზრდა კადრებზე აკეთებს. 2005-06 წლების სეზონში „ვიტ ჯორჯიამ" ორი წარმატებული ტრანსფერი განახორციელა — ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი კიევის „დინამოში" გაუშვა, და როგორც კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ გვითხრა, კლუბის ბიუჯეტი უწინდელთან შედარებით კვლავ გაიზრდება. „ვიტ ჯორჯიამ" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა, მაგრამ სლოვაკურ „არტმედიასთან"-ის ქინი და მოქნილობა გვიჩვენა, რითაც საქართველოს ჩემპიონატში მას ბევრი ვერ დაეტოლება. „ვიტ ჯორჯიასგან" მე-18 ეროვნულშიც მოწინავეთა შორის ყოფნას ველით და კიდევ იმას, რომ გუნდში ისევ გამოჩნდებიან სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელები.

**დინამო**

დღეს „დინამო" „ბორჯომთან" მატჩის წინ გუნდიდან და ფეხბურთიდან ეროვნული ნაკრების ყოფილ მეკარეს, 37 წლის ირაკლი ზოიძეს გააცილებს. „დინამომ" სეზონის წინ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა და ვექტორი ახალგაზრდებისკენ მიმართა. ხოლო მთლიანად კლუბის ვექტორი საითკენ და რა გათვლებისკენაა მიმართული, ეს მკაფიოდ ჯერ არ ჩანს. იმედია, კლუბის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ჟურნალისტებს ამ თემაზე სასაუბროდ შეგვხვდება. „დინამო" კი მე-18 ეროვნულ ჩემპიონატშიც დუბლის შესრულებისთვის იბრძოლებს — თასიც და ჩემპიონობაც.

**ზესტაფონი**

კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია კვლავაც უცხოეთშია და სამშობლოში არ ჩამოდის. როგორც უნდა იყოს, „ზესტაფონმა" ფეხბურთელები შეინარჩუნა — გუნდი მხოლოდ მოლდოველმა სერგეი ნუდნიმ დატოვა, კაშკაშა ახალშენაძენი კი „ზესტაფონს" არ ჰყავს.

გუნდს მწვრთნელი შეეცვალა — კობა ჟორჟიკაშვილი საქართველოს ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბში დარჩა, კლუბში კი მისი ადგილი მერაბ კოჭლამშვილმა დაიკავა. „ზესტაფონს" უცხოური შეკრება გერმანიაში ჰქონდა და სეზონისთვის კარგად უნდა იყოს მომზადებული.

**ამერი**

საქართველოს თასის მფლობელს სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტიურია და გუნდიდან წამყვანი ფეხბურთელებიც არ წასულან. კლუბი სტრუქტურულად წინ მიდის და უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერლინის „ჰერტას" რომ გაეჯიბრება, მეტ გამოცდილებას და სტიმულს შეიძენს. „ამერისგან" 2006-07 წლების სეზონშიც ტიტულებისთვის ბრძოლას ველით.

**ოლიმპი**

„თბილისი" პლუს „ბათუმიდან" და „ლოკომოტივიდან" მისული ფეხბურთელები, ინკოგნიტო ინგლისელი თუ ირანელი ბიზნესმენი და რუსთაველი საწარმო „ფოლადი" — ასე შეიქმნა რუსთავის „ოლიმპი", რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი ნოდარ აკობია ჩაუდგა სათავეში. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, „ოლიმპი" მოწინავეთა მარაქაში უნდა იყოს — გუნდი თბილისში, „ოლიმპის" აკადემიაში ივარჯიშებს და რუსთავში ითამაშებს — სასიკეთო საქმეა, რომ რუსთავში საფეხბურთო ჩირაღი გაღვივდება.

**ჩიხურა**

საჩხერელები უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებულნი არიან, მაგრამ „ჩიხურას" სტაბილური ფინანსური ზურგი აქვს და ყველასთვის კერკეტი მეტოქე უნდა იყოს. გუნდს ხვიჩა ქასრაშვილი გაწვრთნის, რომლის ხელმძღვანელობით წინა ჩემპიონატის პირველი წრე ბოლნისის „სიონმა" მეორე ადგილით ჩაამთავრა. „ჩიხურა" ფულშემოკლებული „ბორჯომიდან" წამოსული ფეხბურთელებით გაძლიერდა და თან შემტევები — გიორგი მიქაძე, მიხეილ კაკალაძე და საბა სულთანიშვილი დაიმატა.

**ტორპედო**

ქუთაისელებს ფინანსურად არ ულხინთ და ამიტომაც გაეყარნენ „ტორპედოს" გიორგი ყიფიანი და ლევან კორღალიძე. მიუხედავად ამისა, სტუმრად „ტორპედოსთან" თამაში გაჭირდება — ბოლოს და ბოლოს, „ტორპედოს" რევაზ ძოძუაშვილი მოძღვრავს — „ტორპედოსთან" ქუთაისში ბევრი ვერ გაისეირნებს.

**მერანი**

საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის დილარ ხაბულიანის გუნდი მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს, თუმც სტაბილური კლუბი ჩანს და ხელწამოსაკრავი გუნდი არ უნდა ჰყავდეს. „მერანმა" „სოხუმიდან" გადაიყვანა ვალერი გოგუა და თბილისის „სპარტაკიდანაც" დაიმატა რამდენიმე ფეხბურთელი.

**ბათუმი**

აჭარელებს ამირან გოგიტიძე გაწვრთნის. გუნდი მეტწილად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მისგან ბევრის მოთხოვნა ნაადრევია. „ბათუმიში" იმედოვნებენ, გუნდს მალე ახალი სტადიონი და დიდი მიზნები ექნებაო და ვნახოთ, რა როგორ მოხდება.

**ლოკომოტივი**

ახალი მწვრთნელი ამირან მინაშვილი, ახალგაზრდები და სამი გამოცდილი ფეხბურთელი — მეკარე დავით გვარამაძე, მცველი ნიკა გუშარაშვილი და შემტევი ვლადიმერ გოჩაშვილი — ასეთი რესურსით ხვდება „ლოკომოტივი" მე18 ეროვნულს. მისგან ფურორს არავინ ელის, მხოლოდ ნორმალურ თამაშს.

**კახეთი**

გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, თუმც ბირთვი შენარჩუნებულია. „კახეთი" სეზონის წინ ბიუჯეტის გაზრდას ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა და უწინდელი ძალებით მოუწევს უმაღლეს ლიგაში თამაში — რთული ამოცანაა.

**ბორჯომი**

ბორჯომელებმა მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე და ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი შეინარჩუნეს — ედიკ საჯაია, დავით ბაქრაძე და შოთა ჯიქია. შესაბამისად, მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა, „ბორჯომი" უმაღლეს ლიგაში ერთადერთი გუნდია, ხელოვნურსაფარიან მოედანზე რომ თამაშობს და ახალ ჩემპიონატში სხვა რამით გამორჩეული ალბათ ვერ იქნება.

**დილა**

გორელებმა ფინანსური გარანტიები მხოლოდ გუშინწინ წარადგინეს ფეხბურთის ფედერაციაში. „დილა" ქალაქის გამგეობის ბალანსზეა და კერძო სტრუქტურების იმედიც აქვს. ახალი სეზონისთვის „დილაში" ახალი მთავარი მწვრთნელი, ოთარ კორღალიძე მიიწვიეს, მაგრამ ხუთი ვარჯიშის შემდეგ კორღალიძე გუნდს გაეცალა — „დილაში" ფული არ გამოჩნდა. თუმც, როგორც კი გადაწყდა, რომ „დილა" უმაღლეს ლიგაში ითამაშებდა, კორღალიძე გუნდში დაბრუნდა.

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 29 ივლისი. 17.30. მიხეილ მესხი
**დინამო — ბორჯომი**
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ვ. ელისაბედაშვილი;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

გორი. 29 ივლისი. 17.30. თენგიზ ბურჯანაძე
**დილა — ბათუმი**
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

ბოლნისი. 29 ივლისი. 17.30. თამაზ სტეფანია
**სიონი — ოლიმპი** გადაიდო
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, მ. ელიკაშვილი; მ. ბეუქლიშვილი;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

თელავი. 29 ივლისი. 17.30. გივი ჩოხელი
**კახეთი — მერანი**
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ზ. ხუციშვილი; დ. სანაია;
დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე

ზესტაფონი. 29 ივლისი. 17.30. ცენტრალური
**ზესტაფონი — ლოკომოტივი**
მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯაფარიძე; კ. ჭაჭუა;
დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

თბილისი. 31 ივლისი. 17.30. ამერი
**ამერი — ჩიხურა**
მსაჯები: ლ. კვარაცხელია; კ. ბერიძე, კ. გუდურაშვილი; ა. ნონიკაშვილი
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

ქუთაისი. 31 ივლისი. 17.30. ტორპედო
**ტორპედო — ვიტ ჯორჯია**
მსაჯები: ლ. სილაგავა; გ. ურუშაძე, ზვ. გურგენიძე; ჯ. ბუიშვილი;
დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია


ირაკლი ზოიძემ მოთამაშის კარიერა დაასრულა

# მილანი მადრიდში თევზაობს



ფერნანდო ტორესი

იტალიური პრესის ცნობით, „მილანი“ ფერნანდო ტორესს არ ეშვება. მართალია, „ელ ნინიომ“ ცოტა ხნის წინ თქვა, მადრიდის „ატლეტიკოში“ ვრჩებიო, მაგრამ „როსონერი“ აპირებს, მადრიდელებს ახალი წინადადება შესთავაზოს. მილანელები ტორესს უკვე რამდენიმე წელია, უტრიალებენ.

ამ ზაფხულს „სან სირო“ ანდრეი შევჩენკომ დატოვა და „მილანს“ მისი შემცვლელი სჭირდება. კარლო ანჩელოტისა და კომპანიის აზრით, ალბერტო ჯილარდინოსთვის ტორესი იდეალური მეწყვილე იქნება. ალბათ, „როსონერი“ 2 აგვისტოს დაელოდება, რათა უეფასგან საბოლოო პასუხი მიიღოს, დაუშვებენ თუ არა კლუბს ჩემპიონთა ლიგაში. თუ დაუშვეს, „მილანს“ ნებისმიერ შემთხვევაში დასჭირდება ერთი ფორვარდი, რადგან ამჟამად ჯილარდინოს, ფილიპო ინძაგისა და მარსიო ამოროზოს ამარაა.

22 წლის ტორესის შეძენა სხვა კლუბებსაც სურდათ. ძალიან აქტიურობდა „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც „ელ ნინიოს“ უეინ რუნისთან შეწყვილება ეწადა. თუმცა „წითელი ეშმაკების“ ოცნება მას მერე დაიმსხვა, რაც მადრიდელებმა 25,7 მილიონ გირვანქიან წინადადებაზე თქვეს უარი.

„მილანს“ კი სხვა კანდიდატებიც ჰყავს — იუვენტუსელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ჩელსელი ერნან კრესპო და კალიარელი დავიდ სუაცო. ამ უკანასკნელის ვარიანტი ყველაზე რეალურია. „როსონერი“ მასში ამოროზოსა და მარკო ბორიელოს შეთავაზებას აპირებს, რაც სარდინიელთათვის ურიგო ვარიანტი არ არის, მაგრამ „კალიარის“ პრეზიდენტი მასიმი ჩელინო ირწმუნება, ჰონდურასელ სუაცოს არსად არ ვუშვებთო.

**კოკი კანდელაკი**

# არჩამოსაქრელი შურები



დელიო როსი

მიუხედავად იმისა, რომ კალჩოპოლიმ თავდაპირველი განაჩენი შეარბილა და აპელაციის შედეგად რომის „ლაციო“ სერია B-დან A-ში დააბრუნა, კლუბის თავკაცი დელიო როსი მაინც უკმაყოფილოა, რადგან მისი გუნდი სეზონს მინუს 11 ქულით დაიწყებს. თანაც ორი საშინაო მატჩის ნეიტრალურ სტადიონზე გამართვა მოუწევს.

„ეს უკვე მეორე განაჩენია, რომელიც მას მერე გამოგვიტანეს, რაც მომავალი სეზონისთვის მზადებას შევუდექით. ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ისინი ამ აურზაურს ყურადღებას არ აქცევდნენ და თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ. იმედს ვიტოვებ, რომ ეს საბოლოო ვერდიქტი არ არის და მდგომარეობის შემსუბუქებას როგორმე შევძლებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ჩვენ გუნდს მნიშვნელოვნად შეცვლის“ — განაცხადა როსიმ.

„ლაციოს“ მწვრთნელის აზრით, მინუს 11 ქულა ძალიან დიდი დანაკარგია და რთული ამოსაქაჩი იქნება. ცხადია, მას გული უეფას თასზეც სწყდება, რომელზეც, წესით, დედაქალაქელებს უნდა ეთამაშათ, რადგან გასულ სეზონში მშვენივრად გაისარჯნენ და მეექვსე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ კალჩოპოლიმ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

დელიო როსი: „რომ არა ეს სკანდალი, უეფას თასზე ვითამაშებდით და სერია A-შიც უფრო წარმატებულად გამოსვლას შევეცდებოდით, ხოლო თუ ვერდიქტი ძალაში დარჩა და არაფერი შეიცვალა, სამწუხაროდ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოგვიწევს ბრძოლა“.

„ლეჩესა“ და „ატალანტას“ ყოფილმა მწვრთნელმა ჟანეტის მაქსიმალური ზღვარი ჩერისკენ მოუწოდა, ... ული სეზონი გველის. „ლაციომ“ მოსამზადებელი პერიოდის ძირითადი ნაწილი უკვე დაასრულა და ახალი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ელის.

„უნდა განვეწყოთ, რომ შესაძლოა, ძალიან მძიმე ვითარებაში ჩავცვივდეთ. მინუს 11 ქულა ხუმრობა არ არის, თუმცა ყურების ჩამოყრა სწორი არ იქნება. უნდა ვიბრძოლოთ და მაქსიმუმს მივაღწიოთ. ერთ მუშტად შეკრული გუნდი მჭირდება და ფანების იმედიც მაქვს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, როგორც არასდროს ზურგს არ გვაქცევენ და გვერდში აგვიდგებიან“ — დასძინა როსიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| სიონი ან ლევსკი | — | კიევო (იტალია) |
| სპარტაკი ან შერიფი | — | ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| შახტარი (უკრაინა) | — | ლეგია ან ჰაფნარფიორდური |
| ზალცბურგი ან ციურიხი | — | ვალენსია (ესპანეთი) |
| შიროკი ბრიაგი ან ჰართსი | — | აეკ (საბერძნეთი) |
| ცსკა (რუსეთი) | — | რუჟომბეროკი ან იურგორდენი |
| მილანი (იტალია) | — | ცრვენა ზვეზდა ან კორკ სიტი |
| გალათასარაი (თურქეთი) | — | ვოლერენგა ან ბოლესლავი |
| სტანდარდი (ბელგია) | — | სტიაუა ან ნოვა გორიცა |
| აუსტრია (ავსტრია) | — | ბენფიკა (პორტუგალია) |
| დინამო ზაგრები ან ეკრანასი | — | არსენალი (ინგლისი) |
| მიუპა ან კოპენჰაგენი | — | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ჰამბურგი (გერმანია) | — | ოსასუნა (ესპანეთი) |
| დინამო კიევი ან მეტალურგსი | — | B-36 ტორსჰავნი ან ფენერბაჰჩე |
| ლივერპული (ინგლისი) | — | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) |
| ლილი (საფრანგეთი) | — | რაბოტნიჩკი ან დებრეცენი |

*პირველი მატჩები გაიმართება 8-9 აგვისტოს, საპასუხოები — 22-23 აგვისტოს*

# უეფას თასი 2006-2007

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| ჰერტა (გერმანია) | — | ამერი (საქართველო) |
| აპოელი (კვიპროსი) | — | ტრაბზონსპორი (თურქეთი) |
| ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | — | დომჟალე (სლოვენია) |
| ცსკა (ბულგარეთი) | — | ჰაიდუკი (კულა, სერბეთი) |
| რუზელარე (ბელგია) | — | ეთნიკოსი (კვიპროსი) |
| ოფკ (სერბეთი) | — | ოსერი (საფრანგეთი) |
| დინამო (რუმინეთი) | — | ბეითარი (ისრაელი) |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | მარიბორი (სლოვენია) |
| სარაევო (ბოსნია) | — | რაპიდი (რუმინეთი) |
| ბნეი იეჰუდა (ისრაელი) | — | ლოკომოტივი (ბულგარეთი) |
| ომონია (კვიპროსი) | — | ლიტექსი (ბულგარეთი) |
| ტირანა (ალბანეთი) | — | ქაისერისპორი (თურქეთი) |
| არტმედია (სლოვაკეთი) | — | დინამო (ბელარუსი) |
| რიდი (ავსტრია) | — | სიონი (შვეიცარია) |
| ფეჰერვარი (უნგრეთი) | — | გრასჰოპერი (შვეიცარია) |
| ქარვანი (აზერბაიჯანი) | — | სლავია (ჩეხეთი) |
| ჩერნომორეცი (უკრაინა) | — | პლოცკი (პოლონეთი) |
| ბაზელი (შვეიცარია) | — | ვადუცი (ლიხტენშტაინი) |
| ზიმბრუ (მოლდოვა) | — | მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) |
| მატერსბურგი (ავსტრია) | — | ვისლა (პოლონეთი) |
| რუბინი (რუსეთი) | — | ბატე (ბელარუსი) |
| მარსელი (საფრანგეთი) | — | იანგ ბოისი (შვეიცარია) |
| სტარტი (ნორვეგია) | — | დროჰედა (ირლანდია) |
| ოდენსე (დანია) | — | ლანელი (უელსი) |
| კაუნასი (ლიტვა) | — | რანდერსი (დანია) |
| ტვენტე (ჰოლანდია) | — | ლევადია (ესტონეთი) |
| ვენტსპილსი (ლატვია) | — | ნიუკასლი (ინგლისი) |
| ბრანი (ნორვეგია) | — | ატვიდაბერგი (შვედეთი) |
| მიოლდე (ნორვეგია) | — | სკონტო (ლატვია) |
| ფლორა (ესტონეთი) | — | ბრონდბიუ (დანია) |
| სუდუვა (ლიტვა) | — | ბრიუგე (ბელგია) |
| გრეტნა (შოტლანდია) | — | დერი სიტი (ირლანდია) |

*პირველი მატჩები გაიმართება 10 აგვისტოს, საპასუხოები — 24 აგვისტოს*




# ახალი მწვრთნელი ირჩევს რაულს

*„მინდა, რომ ჩემი გუნდის ლიდერი რაული იყოს“ — განუცხადა მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ჟურნალისტებს. მეორე დღეს კი მადრიდული „ასი“ სამეფო გუნდის კაპიტან რაულ გონსალეს ბლანკოს გაესაუბრა. „სანტიაგო ბერნაბეუს“ მეშვიდე ნომერი გულშემატკივრებს უმაღლეს დონეზე თამაშს დაჰპირდა*

— კაპელომ აღნიშნა, რომ გუნდის ლიდერად რაული სურს. რას იტყვით ამის შესახებ?

— მწვრთნელის შეფასებით კმაყოფილი ვარ. ძალიან მიხარია, როცა ჩემი სჯერათ. თუმცა უკვე 13 წელია, რაც ამ გუნდში ვთამაშობ და მწვრთნელად ვინც არ უნდა მოვიდეს, „რეალისთვის“ თავს არ დავზოგავ. ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა ყველასთვის სასურველი ჯილდოები მოვიპოვო.

— „რეალის“ დამრიგებელი თავის ნათქვამში, ალბათ, უფრო ფსიქოლოგიურ მხარეს მიანიშნებდა, ვიდრე ფიზიკურს. ტრავმები უკვე მოირჩინეთ, რაც ლიდერობაში ხელს არ შეგიშლით...

— მართლაც, მუხლი მოვირჩინე და არანაირი ტრავმა აღარ მაწუხებს. რაც შეეხება ფსიქოლოგიურს... ყველამ, ვინც კი ამ გუნდში ვართ, ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში ბევრი სირთულეები გადავიტანეთ. სიტუაცია და მასთან ერთად სამწვრთნელო შტაბი განუწყვეტლივ იცვლებოდა, სტაბილურობას ვერ ვინარჩუნებდით. ახლა კი მშვიდად მუშაობის დრო მოვიდა — ბიჭებს ტრავმები არ აწუხებთ, სიტუაციაც დაწყნარდა და ყველამ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა აჩვენოს. პირადად მე, თუ რაიმე მოულოდნელმა უსიამოვნებამ ხელი არ შემიშალა, უმაღლეს დონეზე ვითამაშებ.

— არის კაპელო ის სპეციალისტი, რომელსაც „რეალისთვის“ ჯილდოების მოტანა შეუძლია?

— კაპელო კარგი შანსია ჩვენთვის. იგი ძლიერი პიროვნებაა და მუშაობის თავისებური სტილი აქვს. სადაც მწვრთნელობდა, ყველგან ტიტულები მოიგო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „რეალის“ ფეხბურთელები გულხელდაკრეფილები გავჩერდეთ და მარტო ფაბიო კაპელოს იმედზე ვიყოთ. მომავალი სეზონი რთული იქნება. უბრალოდ, მეტოქეთა მიღწევებიდან მარტო „ბარსელონას“ ბოლოჟამინდელი წარმატებები გაიხსენეთ და მიხვდებით, ვისთან გვიწევს ჭიდილიც. კარგი იქნება, თუ „რეალი“ „ბარსასაც“ და სხვა მოწინააღმდეგეებსაც ძველებურად, ხალისიანად შეუტევს — როცა მინდორზე შებოჭილი არ ხარ, თამაში ლაზათიანი გამოგდის.

— თქვენ კაპელოს სიტყვებს როგორ უპასუხებდით?

— ათი წელია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ. იგი მე „რეალში“ პირველი მწვრთნელობის დროს ძალიან დამეხმარა და მეც ახლა კაპელოს სამსახურში ვარ, ისევე როგორც „რეალს“ ვემსახურები მთელი ცხოვრება. ფაბიო კაპელო გუნდის ძირითადში ადგილს არავის აჩუქებს, თუგინდ სახელგანთქმულ ვარსკვლავი იყავი. მისი ნდობის მოპოვებას დიდი გარჯა სჭირდება.

— გუნდში ცვლილებები უკვე შეიმჩნევა?

— ცვლილებები ყოველი სეზონის დასაწყისთვის შეიმჩნევა. საკითხავი ის არის, ეს ცვლილებები უკეთესობისკენაა თუ პირიქით... დღეს დარწმუნებით შემიძლია, ვთქვა, რომ „რეალის“ საქმე წინ მიდის.

— თქვენი აზრით, 2006-07-ის სეზონი სამეფო გუნდისთვის განსაკუთრებული იქნება?

— წესით, უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს სამი წელიწადია, მადრიდის „რეალს“ არანაირი ჯილდო არ მოუგია... დღევანდელი შემადგენლობა კი ძლიან ძლიერია და, ალბათ, კატასტროფა უნდა მოხდეს, რომ ტიტულების მოპოვება რომ ვერ ვიზეიმოთ.

— წარსულში დარჩა ის ეპოქა, როცა „რეალში“ ტრანსფერები მაისურების გასაყიდად ხორციელდებოდა?

— კაპელომ უკვე ყველაფერი გაარკვია ამასთან დაკავშირებით. აქ ახლა ყველაზე მეტად კაპელოს აზრს ითვალისწინებენ, ამ მწვრთნელს კი „სარეკლამო ვარსკვლავი“ არც ერთ გუნდში არ ჰყოლია — ყოველთვის საჭირო ფეხბურთელებს იძენდა. „რეალში“ კანავაროს და ემერსონის ამასწინანდელი გადმოსვლაც ამას ნიშნავს.

— ეტყობა, დღეს სამეფო თეთრების ხელმძღვანელობა უფრო ფეხბურთელთა გამოცდილებას აქცევს ყურადღებას, ვიდრე ახალგაზრდულ ძალას...

— დიახ. გამოცდილი მოთამაშეებით თასებს უფრო ადვილად მოვიგებთ. თუმცა არც ახალგაზრდების დავიწყება შეიძლება.

— კასანოსთან თავდასხმაში კონკურენცია გექნებათ...

— ანტონიო მაგარი ფეხბურთელია, თუმცა „რეალში“ რთულ დროს მოვიდა. თავის გამოჩენა გაუჭირდა გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ კლასი ნამდვილად აქვს. ახლა თავს უფრო უკეთ გრძნობს, რადგანაც საქმეს ყველანი პრაქტიკულად ნულიდან ვიწყებთ. კასანოს მწვრთნელი კარგად იცნობს და იცის მისი მოედანზე მაქსიმალურად გამოყენების წესი.

— ანუ კასანოს კარიერაში სასიკეთო ცვლილებები იგრძნობა?

— კარიერაში კი, ხასიათში არა — ისევ ისეთი უნუგეშო ყბედია... კასანოს ალმავლობა ყოველთვის კაპელოს დამრიგებლობას უკავშირდებოდა და ახლა იგი ძალიან მოტივირებულია. მინდა, აღვნიშნო, რომ კასანოს უიღბლობა „ბერნაბეუზე“ მისი ბრალი არ იყო, არამედ „რეალის“.

— პრეზიდენტ კალდერონს უკვე ესაუბრეთ?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საამისო დროს მალე გამოვნახავთ. ჩემს ძველ ნაცნობს, „რეალის“ ამჟამინდელ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს კი ტელეფონით ველაპარაკე.

— გჯერათ, რომ ამ სეზონში მადრიდი რაიმე ჯილდოს მოიგებს?

— „რეალს“ გარდამავალი პერიოდების უფლება არ გააჩნია, ჩვენ სულ მოწოდების სიმაღლეზე უნდა ვიყოთ, ინჩასებმა რომ გაიხარონ. სამწუხაროდ, ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ტიტულების გარეშე დავრჩით, რასაც წლეულს გამოვასწორებთ.

# ანგელოსი არ გვჭირდება

**ამსტერდამის** „აიაქსის“ ახალმა მწვრთნელმა ჰენკ ტენ კეიტმა გუნდის ბერძენ ლეგიონერ ანგელოს ხარისტეასს სხვა კლუბის მოძებნა ურჩია. კეიტი, რომელიც აქამდე „ბარსელონაში“ ფრანკ რაიკარდის თანაშემწედ მუშაობდა და ორი თვის წინ დენი ბლინდი შეცვალა, ხარისტეასს თავის სათამაშო სისტემაში ვერ ხედავს.

ბერძენი ფორვარდი არ მოხვდა „არსენალთან“ ამხანაგური მატჩის განაცხადში და არც ბელგიურ „ემენთან“ სპარინგში გამოჩენილა. ხარისტეასის აგენტმა უკვე დაიწყო ახალი კლუბის ძიება.

„ხარისტეასს ალალად ვუთხარი, რომ იგი ჩემი მეხუთე ფორვარდია. ის ნამდვილი პროფესიონალი და კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩემს სისტემაში ვერ ჯდება. იგი ძალიან სასარგებლოა ორ გამოკვეთილ თავდამსხმელიან სქემაში, ამაში დარწმუნებული ვარ. ანგელოსი კმაყოფილი დარჩა ჩემი გულახდილობით და ერთმანეთს გავუგეთ. იმედია, იგი მალე იპოვის ახალ გუნდს“ — განაცხადა კეიტმა.



ევრო 2004-ის ფინალში გამარჯვების გოლის გამტანი ხარისტეასი, სწორედ იმ წელს გადავიდა ბრემენის „ვერდერიდან“ „აიაქსში“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბერტ ვან მარვიიკი გვარივით გააგრძელეს




| 23:45 | 171 | კანზასი-ნიუ ინგლენდი | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |
| 23:45 | 172 | სოლტ ლეიკი-ვაშინგტონი | 3.70 | 3.20 | 1.77 | 1.71 | 1.19 | 1.13 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 173 | ჟუვენტუდი-ფიგეირენსე | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 23:45 | 174 | პალმეირასი-პარანა | 1.95 | 3.20 | 3.25 | 1.21 | 1.21 | 1.61 |
| 23:45 | 175 | სან კაეტანო-პონტე პრეტა | 1.37 | 3.90 | 6.00 | 1.01 | 1.11 | 2.36 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 176 | ატლეტიკო პრ-ფლამენგო | 1.60 | 3.40 | 4.40 | 1.08 | 1.17 | 1.91 |
| 23:00 | 177 | სანტა კრუსი-კორინთიანსი | 2.10 | 3.10 | 2.80 | 1.25 | 1.20 | 1.47 |
| 23:00 | 179 | ვასკუ და გამა-კრუზეირო | 2.25 | 3.15 | 2.60 | 1.31 | 1.20 | 1.42 |
| 23:45 | 181 | გოიასი-ფორტალესა | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 184 | აუდაქსი-პუერტო მონტი | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 23:30 | 188 | პალესტინო-ანტოფაგასტა | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 23:45 | 190 | უნ.ესპანიოლა-სერენა | 1.60 | 3.35 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 1.98 |
| 23:45 | 191 | უნ.კატოლიკა-ჰიგინსი | 1.40 | 3.75 | 6.00 | 1.01 | 1.13 | 2.30 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 185 | კობრელოა-უ.კონსეპსიონი | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 186 | კობრესალი-მორნინგი | 1.25 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.56 |
| 23:45 | 187 | ევერტონი-კოლო კოლო | 3.80 | 3.20 | 1.75 | 1.73 | 1.19 | 1.13 |
| 23:30 | 189 | რეინჯერსი-უონდერერსი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 23:45 | 192 | უნ.ჩილე-უაჩიპატო | 1.50 | 3.60 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.09 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 17:30 | 334 | ჰამბურგი-ჰერტა | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 20:15 | 335 | შალკე-ლევერკუზენი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 336 | გალათასარაი-ბეშიქთაში | 2.00 | 3.15 | 3.25 | 1.22 | 1.23 | 1.59 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.40 | 2.80 | 11.00 | 1.00 | 1.24 | 2.23 |
| 10002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 2.40 | 2.10 | 3.90 | 1.12 | 1.48 | 1.36 |
| 10003 | დანფერმლაინი-პართსი | 6.00 | 2.20 | 1.90 | 1.60 | 1.44 | 1.01 |
| 10004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2.45 | 2.10 | 3.55 | 1.13 | 1.44 | 1.31 |
| 10005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 2.25 | 2.10 | 4.30 | 1.08 | 1.47 | 1.41 |
| 10006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 7.00 | 2.50 | 1.65 | 1.84 | 1.33 | 1.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | დანდი იუნ.-ფოლკირკი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.30 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11003 | დანფერმლაინი-პართსი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.25 |
| 11004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.30 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.30 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 20.00 | 12.00 | 1.70 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | სელტიკი-კილმარნოკი | 2.20 | 1.50 |
| 12002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | დანფერმლაინი-პართსი | 1.90 | 1.70 |
| 12004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.90 | 1.70 |
| 12005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 2.00 | 1.55 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.90 | 1.60 |
| 13002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | დანფერმლაინი-პართსი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.05 | 2.80 |
| 14002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.65 | 2.10 |
| 14003 | დანფერმლაინი-პართსი | 2.50 | 1.30 |
| 14004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.65 | 2.10 |
| 14005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 1.55 | 2.30 |
| 14006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 2.45 | 1.18 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | სელტიკი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | დანფერმლაინი-პართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.03 | 6.00 |
| 16002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.40 | 2.50 |
| 16003 | დანფერმლაინი-პართსი | 3.20 | 1.20 |
| 16004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.40 | 2.45 |
| 16005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 1.30 | 2.80 |
| 16006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 4.50 | 1.15 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | დანფერმლაინი-პართსი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ინვერნესი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | მოზერუელი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| | მოსკოვის გამზირი №6 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |
| ზესტაფონი | დავით აღმაშენებლის №39 | |
| გარდაბანი | დავით აღმაშენებლის №12 | |

# ტროას ცხენი

## ჰერბერტმა ტრაიანო დაგვიტოვა, წავიდა და... დარჩა



სექტემბრიდან ჯეი ტრაიანო ქართველებს ქართულად ჩაუჯდება

*გორდონ ჰერბერტი* — საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების მთავარი კონსულტანტი.

*ჯეი ტრაიანო* — ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

*კენ ატკინსონი* — მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

*დავით უსტიაშვილი* — მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

მაშ ასე, ყველაფერი ცნობილია: საქართველოს ნაკრებს კვლავაც კანადელი სპეციალისტი, ოღონდაც ამჟამად „ტორონტო რეპტორზის" ასისტენტი მწვრთნელი ჯეი ტრაიანო უთავკაცებს.

გორდონ ჰერბერტი კი, როგორც ხედავთ, მხოლოდ კონსულტანტი იქნება. ის სამწვრთნელო შტაბში კი ირიცხება, მაგრამ მწვრთნელი არაა. ეს რომ ასე იქნებოდა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა. ჰერბერტი ახლახან „პო ორტეზის" მწვრთნელად დაინიშნა, საფრანგეთის ჩემპიონატი კი 23 აგვისტოს იწყება. „პო ორტეზმა" გასულ სეზონში ვერაფერი მოიგო და საფრანგეთის ამ ყველაზე ტიტულიანი კლუბის უფროსები ჰერბერტს 14 აგვისტომდე (საქართველო საკვალიფიკაციო მატჩებს ამთავრებს) რომ არავის დაუთმობდნენ, რა მარჩიელობა უნდოდა.

ჰერბერტი ფედერაციისა და ნაკრების კონსულტანტია და აუცილებელი სულაც არაა, შეკრების პირველივე დღიდან საკვალიფიკაციო მატჩების დამთავრებამდე იყოს საქართველოს ნაკრებთან.

ესეც ასე — ტრაიანო ქართველების წინამძღოლი ხდება და ახლა ისღაა საკითხავი, ჩამოვა თუ არა ის თბილისში 5 აგვისტოს, საქართველოს ნაკრების შეკრების დღეს.

**საქართველოს** ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯეი ტრაიანო იქნება. რაც კანადურმა პრესამ 2 კვირის წინ დაწერა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ გუშინ დაადასტურა. ისე კი, ფედერაციის წარმომადგენლები არც უარყოფდნენ, რომ ჯეი ტრაიანო ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იმუშავებდა, მაგრამ ამბობდნენ, ვინ ითავკაცებს და ვინ ასისტენტი იქნება, ეს თავად მწვრთნელებმა უნდა გაარკვიონ ერთმანეთშიო.

გუშინ კი ფედერაციიდან აი, ეს წერილი მივიღეთ:

— საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ დაასრულა საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტება. კალათბურთის ფედერაცია უფლებამოსილია განაცხადოს, რომ კონსულტაციებისა და იურიდიული საკითხების მოგვარების შემდეგ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მწვრთნელთა ფუნქციები ამგვარად გადანაწილდა:

**ირაკლი პერტაია**

# კრასიმირ ბასიჩის ფასი: საქართველო და ფინეთი

**3 სექტემბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ლუქსემბურგთან მატჩით ევროსაკვალიფიკაციო ეტაპს იწყებს. ბენილუქსელები ქართველებისთვის დაბალი ლობესავით კი არიან, მაგრამ მათ ბალკანელ დამრიგებელ კრასიმირ ბასიჩს თავი ყინჩად უჭირავს, ერთ ხმაურიან სიურპრიზს მაინც შემოგთავაზებთო.

ევროპელმა ჟურნალისტებმა ლუქსემბურგელთა მწვრთნელს ჯგუფის შეფასება სთხოვეს, რაზეც ბასიჩმა პირველ რიგში ეს მიუგო: „საქართველო და ფინეთი, დანარჩენებს პლეი ოფში გასვლის შანსი არა აქვთ. თუმც ჩვენ მაინც ჩვენსას ვეცდებით და რომელიმე ფავორიტს გავამწარებთ".

„ჩვენთვის ეს ჯგუფი მეტისმეტად რთულია — განაგრძობს კრასიმირ ბასიჩი — მეტიც, ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერია **B** დივიზიონში. არც კი ვფიქრობთ, რომ პლეი ოფში გავალთ, უბრალოდ, გვინდა, რომ ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ".

ლუქსემბურგელებს ორი ძმის, მარტინ და პეტერ რანიაკების ეიმედებათ. მარტინი გასულ სეზონში ესპანეთის მესამე დივიზიონის „კახა როხაში" თამაშობდა, ხოლო პეტერი ამერიკაში, კალიფორნიის „ბაპტისტ უნივერსიტეტში" სწავლობდა და იქვე ბურთაობდა.

„მათ სურს, ულიდერონ ნაკრებს არა მხოლოდ ქულებით, არამედ ფსიქოლოგიურადაც" — ამბობს ძმებ სანიაკებზე კრასიმირ ბასიჩი — ნაკრებში არაერთი ახალგაზრდა გვყავს, რომლებიც გუნდის ლიდერებმა სწორი მიმართულებით უნდა წაიყვანონ".

საქართველოს ნაკრებს ბასიჩი უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს და ამბობს:

„ქართველებს ყველაზე მძლავრი გუნდი ჰყავთ. მათმა ნბა-ში მოთამაშე წევრმა ზაზა ფაჩულიამ, გასულ სეზონში დიდი პროგრესი განიცადა. ის არის ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელი ნბა-ში. „ფინიქს სანსის" ფორვარდი ნიკოლოზ ცქიტიშვილიც ასევე სერიოზული ძალაა.

როგორც ჩანს, კრასიმირ პასიჩს საფუძვლიანად ჰყავს საქართველოს ნაკრები შესწავლილი: „ვფიქრობ, ქართველებს საუკეთესო ხუთეული ეყოლებათ. ძმები ბოისები ძალიან აგრესიულები არიან, თანაც საკმაოდ სწრაფები. ისინი იქნებიან გუნდის მოტორები და პლუს ევროპაში ჰანუჩარ მარკოიშვილი, ვისაც გვარიანი ევროგამოცდილება აქვს".

ფიბა-ევროპის საიტზე ასევე ამოვიკითხეთ ფინეთის ნაკრების თავკაცის ჰენრიკ დეტმანის აზრი საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებით:

„საქართველო ძალიან ძლიერი ნაკრებია. მას მზარდი კალათბურთელებიც ჰყავს და უკვე დაღვინებული პროფესიონალებიც. ლიტვასთან, ლატვიასთან, ესტონეთთან და უკრაინასთან ერთად საქართველოს ნაკრები სერიოზული ძალაა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის".

ფინელებს ქართველები სტუმრად, 13 სექტემბერს ეთამაშებიან.

**ირაკლი პერტაია**



## დორტმუნდის სუპერტურნირი

28 ივლისი — 8 აგვისტო



ბაადურ ჯობავა დორტმუნდში „აეროფლოტის" თასმა ჩაიყვანა

# მჯობნის მჯობნები და ბაადურ ჯობავა

## ქართველი სუპერებს სუპერში ნახავს

**ქართველი** დიდოსტატი ბაადურ ჯობავა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს, დორტმუნდის სუპერტურნირზე ითამაშებს. ჩვენებურმა აქ გამოსვლის უფლება თებერვალში მოსკოვის „აეროფლოტ ოპენის" მოგების შემდეგ დაიბევა. ჯობავას გარდა სუპერტურნირზე ითამაშებენ კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი და მისი თანამემამულე პიოტრ სვიდლერი, მსოფლიოს თასის მფლობელი, სომეხი ლევონ არონიანი, მასპინძელთა იმედი არკადი ნაიდიჩი, უნგრელი პეტერ ლეკო, ინგლისელი მაიკლ ადამსი და ებრაელი ბორის გელფანდი.

ტურნირის ფავორიტი კრამნიკია. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი ახლახან რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე გამოვიდა, მშვენიერი შედეგი აჩვენა და ფიდეს რეიტინგშიც დიდი ნახტომი გააკეთა. კრამნიკი სექტემბერში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს შეერკინება და მანამდე ძალებს ამდაგვარ ტურნირებში მოსინჯავს.

მეორე ფავორიტი არონიანია. მანაც ახლახან ოლიმპიადაზე ისახელა თავი და ტურნირზე სერიოზული ძალა რომ იქნება, დიდი მტკიცება არ სჭირდება.

პეტერ ლეკომ დორტმუნდის ტურნირი 2002 წელს მოიგო და შემდეგ სხვაგანაც არაერთგზის იყოჩაღა. ამჟამად მაღიარი დიდოსტატი დიდების მწვერვალზე არაა, თუმც მუდამ ძლიერ მეტოქედ ითვლება და მოჭადრაკეებს მასთან იოლი გასეირნება სულაც არ ელით.

სპეციალისტები ჯობავას ფავორიტებს შორის არ მოიაზრებენ, მაგრამ ქართველის ძალა იციან და მისგან სიურპრიზებს ელიან. თანაც სულ ახლახან ჯობავამ მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში ჩინელების წინააღმდეგ ითამაშა მშვენიერი შედეგიც აჩვენა.

**ლაშა გეგეჭკორი**





## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ორადეა. რუმინეთი. 22-30 ივლისი

# საქართველო მეთოთხმეტეა

**ახალგაზრდა** წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს ბრიტანელებთან ერთადერთი გამარჯვების მერე მეცამეტე ადგილზე გასვლის შანსი მიეცა. საამისოდ ჩვენებს გუშინ ჰოლანდიელები უნდა დაემარცხებინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ მარცხი იწვნიეს. ჩვენმა წყალბურთელებმა 5:10 წააგეს, თუმცა მესამე პერიოდის დაწყებამდე ასეთი დიდი ანგარიშით მარცხს ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან ბრძოლა თანაბარი იყო. მეტიც, პირველი პერიოდი ქართველებმა 2:1 მოიგეს, მეორე კი ასეთივე ანგარიშით დათმეს და ძალთა თანაფარდობაც აღდგა (3:3). სამწუხაროდ, მესამე პერიოდი ჩვენმა გუნდმა პირწმინდად წააგო (0:5), მეოთხემ კი, როცა პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, კვლავ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა (2:2).

საბოლოოდ საქართველოს ნაკრები მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა, ხოლო ჰოლანდიელები — მეცამეტეზე.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის ბრძოლაში ბრიტანელებმა პოლონელებს ოვერტაიმში მოუგეს.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**

# იტალიურ-ირლანდიური როქი

**კარგა ხანს** ლაპარაკობდნენ იმის თაობაზე, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, იტალიელი მარიო პესკანტე ამ პოსტიდან გადადგომას აპირებდა. ასეც მოხდა. მარიო პესკანტე, რომელმაც ამ თანამდებობაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამჟამინდელი პრეზიდენტი, ბელგიელი ჟაკ როგი თავის დროზე შეცვალა, გადადგა.

მარიო პესკანტე სხვადასხვა დროს იყო იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სპორტის დარგში იტალიის სახელმწიფო მდივნის მოადგილეობასაც ითავსებდა და ამავე დროს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასაც მეთაურობდა. ეს ყოველივე ახლა უკან დარჩა, პესკანტემ სპორტს საერთოდ აქცია ზურგი, თუმცა გულხელდაკრეფილი არ დაჯდება, პარტიულ საქმიანობაში სილვიო ბერლუსკონის თანამებრძოლი ხდება.


მარიო პესკანტე

ეტყობა, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სავარძელს ირლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი პატრიკ ჰიკი დაიკავებს.

ჰიკი აქამდე ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო და მას პესკანტე თავის მარჯვენა ხელს უწოდებდა. როგორც ექსპერტები ამბობენ, პატრიკ ჰიკს ევროპის ოლიმპიური საჭეთმპყრობელის პოსტზე კონკურენტი არ ჰყავს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჰიკს ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თავის მხრივ, იტალიელი რაფაელე პენოცი შეცვლის.

ასეა თუ ისე, ყველაფერი ამ შაბათ-კვირას გაირკვევა რომში, სადაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე ასამბლეა გაიმართება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# დაბლზეა ორი „ოლიმპიელი“






**ერთდროულად** დაისტამბა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჟურნალ „ოლიმპიელის“ 27-ე და 28-ე ნომრები. ორივე ნომერი თემატიკური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, გემოვნებით შერჩეული რუბრიკებით, ილუსტრაციების სიუხვით გამოირჩევა და აქტიურად ეხმაურება საქართველოსა თუ უცხოეთის სპორტულ მოვლენებს, ოლიმპიური მოძრაობის საკითხებს, საიუბილეო თარიღებს... ორივე ნომერში გრძელდება ჟურნალის ტრადიციული რუბრიკა „უკეთ, ვიდრე ათენში“, სადაც ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა სამზადისზეა საუბარი. ამ თემას ეძღვნება კახა ბერიძის ინტერვიუ სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან, რომელიც 27-ე ნომერშია დასტამბული. საინტერესოდ იკითხება გია ტუხაშვილისა („შორი გზა პეკინამდე“) და დავით ცაბაძის („ახალგაზრდულ ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს“) წერილები საფეხბურთო თემაზე, აგრეთვე ზვიად შათირიშვილისა („ქართული შტანგა მძიმდება და ახალგაზრდავდება“) და ვაჟა სიმონიშვილის („დავეწევით კი აზერბაიჯანს“) სტატიები საქართველოს ძალოსანთა და ტაეკვანდოს ნაკრები გუნდების ოლიმპიურ სამზადისზე.

27-ე ნომერში დიდი ადგილი ეთმობა წლევანდელი დავით ყიფიანის თასის მფლობელ საფეხბურთო კლუბ „ამერის“ წარმატებებს — გიორგი ნოზაძეს ესაუბრებიან კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია და მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე.

მომდევნო ნომერში საფეხბურთო თემას აგრძელებს ემზარ ზენაიშვილი, რომელიც გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

ჟურნალის ორივე ნომერში ვრცელი მასალებია 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშების მასპინძლობასთან დაკავშირებულ ამბებზე, რომელშიც ბორჯომიც მონაწილეობდა. საუბარია ამ ქალაქის სამომავლო გეგმებზეც...

ერთი სიტყვით, ჟურნალის ორივე ნომერი მდიდარია ქართული და უცხოური ოლიმპიური მოძრაობის დღევანდელობით თუ ისტორიული ფურცლებით და არც არაოლიმპიური სახეობები და სპორტთან დაკავშირებული ხელოვნებაა დავიწყებული.

**ავთანდილ ჭყვიშელი**





# დამალევინეთ, ოღონდ სიტყვა მეც მათქმევინეთ

## ლენდისი ტესტოსტერონს კაცურად აღვება

**ავდრის ღრუბელი** იქუფრება სულ ახლახან „ტურ დე ფრანსის“ მომგებ ამერიკელ ფლოიდ ლენდისის თავზე.

რამდენიმე დღის წინ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გაავრცელა ცნობა, რომ ერთი არცთუ უსახელო ველომრბოლის დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა ტურ დე ფრანსის მიმდინარეობისას აღებულ ანალიზში. ცნობის გამავრცელებლები რამდენიმე დღე არ ახმაურებდნენ დოპინგზე ჩავარდნილის ვინაობას, გუშინწინ კი სახელიც თქვეს — ფლოიდ ლენდისი! მას ბრალად ედება აკრძალული ნივთიერების, ტესტოსტერონის ხმარება.

ეს ტესტოსტერონი ერთგვარი ჰორმონია, რომელსაც გარკვეული რაოდენობით ყველა მამაკაცის ორგანიზმი შეიცავს და არის იმის ალბათობაც, რომ ორგანიზმში მისმა დონემ თავისით აიწიოს. მაგრამ ეს ნივთიერება უფრო ხშირად ხელოვნურად შეჰყავთ სხეულში და ამას კრძალავს ანტისადოპინგო სააგენტო.

ახლა ყველა განმეორებით ტესტს ელის, რომლის შედეგიც საბოლოო იქნება და თუ მეორე ანალიზშიც აღმოჩნდა ეს ნივთიერება, ლენდისის ბედს ძალლიც დაჰყეფს და უარესიც. ისე კი, პირველი ტესტი მას ტურ დე ფრანსის მე-17 ეტაპის შემდეგ აუღეს, სწორედ მას შემდეგ, რაც ურთულესი მთიანი გზა ისე გაიარა და იმდენით აჯობა მოწინააღმდეგეებს, რომ საბოლოოდ ტურიც მოიგო.

თავად ლენდისი კი პირდაპირ, გაოგნებული სახით პასუხობს ჟურნალისტთა კითხვებს და ბევრსაც ვერაფერს ამბობს — „ეს რომ გავიგე, პირველი, რაც გუნებაში გავივლე, ის იყო, რომ ვისკის ბოთლს მოვიყუდებ-მეთქი — ამბობს ჩემპიონი — არც კი ვიცი, რა ხდება. მხოლოდ იმას ვითხოვ, შანსი მომეცით, რომ ჩემი შელახული რეპუტაცია აღვიდგინო. ველორბოლაში ლამის ტრადიციად იქცა, მრბოლთა სახელები ყოველგვარი სინანულის გარეშე გასვარონ.“

დოპინგი უცხო თემა არაა ველოსპორტში. პირიქით, თუკი სადმე ტრიალებს ეს მამაძაღლობა, პირველ რიგში სწორედ ველოსიპედის პედლებთან ერთად. და ისტორიას რომც არ გადავწვდეთ, ისეც ჩანს ტესტოსტერონების, ეფედრინების, კრეატინებისა და ათასი სტეროიდების კვალი. ტურს ლენდისამდეც ასდიოდა დოპინგის სუნი — მსოფლიოს ამ უპრესტიჟულესი ველოტურის დაწყებამდე თავიანთმა გუნდებმავე მხოლოდ იმიტომ მოიკვეთეს უძლიერესი მრბოლები — ულრიხი, ბასო და ვინოკუროვი, რომ ისინი ცნობილი ესპანელი „მედოპინგე“ ექიმის სიახლოვეს „შენიშნეს“. ამის გამო წლევანდელმა ტურმა გვარიანად იზარალა და ფაქტობრივად, მეორე ეშელონის ველომრბოლების შეჯიბრად იქცა. ახლა კი გამარჯვებულზეც იშვა ეჭვი, ეჭვი კი არა ფაქტები. თუ ლენდისს დოპინგთან „შინაურობა“ დაუმტკიცებდა, მას ულაპარაკოდ ჩამოართმევენ ტურის ჩემპიონის ტიტულს და მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ოსკარ პერეირო სიოს გადაულოცავენ.

თავის შესაძლო „გაჩემპიონების“ შანსს პერეირო ცოტა ცერად უყურებს — „სულაც არ მჭირდება ასე ბიუროკრატიული ხერხებით „მოგებული“ ტური.“

ლენდისის სკანდალს სიტყვას აწევს მისი ლეგენდარული თანამემამულის, 1999-2005 წლებში ტურის ზედიზედ 7-ჯერ მომგები ლენს არმსტრონგის დედაც: „ეს ჯოჯოხეთი ლენსმაც გამოიარა. მასზეც არაერთხელ აუღიათ სრულიად უსაფუძვლო ეჭვი. ჩანს, ვიღაცას არ აწყობდა ლენსის ჩემპიონობა.“

**კოტე ყორშია**


ოსკარ პერეირო სიოს ასეთი გამარჯვება არ სჭირდება



# ქართველებმა ზაგრებში ფუჭად ისროლეს

**გუშინ** ტყვიის მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მედლები სპორტული პისტოლებით მსროლელმა ქალებმა გაინაწილეს. 25 მეტრიან დისტანციაზე ფინალში გასული რვა საუკეთესო დადგა, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ნინო სალუქვაძე. ჩვენებური 579 ქულით მეათე ადგილზე გავიდა და ფინალურ რვეულში შესასვლელად მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ სერიაში. სალუქვაძემ 294 ქულა დააგროვა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი იყო, მაგრამ მეორე სერიაში მხოლოდ 285 მიამატა და მეათე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ოქრო-ვერცხლი ჩინელებმა იანგ ჩენმა და ფენგჯი ფეიმ დაინაწილეს. ბრინჯაო კი გერმანელ მუნხბაიარ დორჯსურენს ერგო.

ჩემპიონატი 5 აგვისტომდე გაგრძელდება. ქართველებისთვის კი იგი უკვე დასრულდა.

**კაცები**
კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 646 250 €

**მესამე წრე**

**ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — მაქს მირნი (10, ბელორუსია) 6:4 7:5; **გასტონ გაუდიო** (4, არგენტინა) — დენის გრემელმაირი (გერმანია) 6:7 7:6 6:0; **აგუსტინ კალერი** (9, არგენტინა) — ნიკოლას მასუ (8, ჩილე) 6:2 7:6; **ხუან-იგნასიო ჩელა** (7, არგენტინა) — დუშან ვემიჩი (სერბეთი) 6:4 6:0; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) 6:2 4:6 6:3; **მიხაილ იუჟნი** (8, რუსეთი) — ედგარდო მასა (არგენტინა) 6:4 6:1; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ანდრეი პაველი (15, რუმინეთი) 7:5 6:3

**კაცები**
უმაგი. ხორვატია. თიხნარი
საპრიზო 340 250 €

**მეორე წრე**

**ხუან-პაბლო გუზმანი** (არგენტინა) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 3:6 6:3 6:2; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — სიმონ გროილი (გერმანია) 6:2 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — სტეფანო იანი (იტალია) 6:3 6:4; **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 7:6 6:4

**კაცები**
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 500 000 $

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — სკოტ ოუდსემა (აშშ) 6:7 6:3 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი** (8, რუსეთი) — სემ ქუერეი (აშშ) 7:5 6:4; **რობი ჯინეპრი** (4, აშშ) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:6 3:6 6:4

**ქალები**
სტენფორდი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

**ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:6 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (3, ჩეხეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1 6:4; **ანა-ლენა გრონეფელდი** (4, გერმანია) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:3 7:5; **პატი შნიდერი** (2, შვეიცარია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:1 6:4

**ქალები**
ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი
საპრიზო 145 000 $

**მეორე წრე**

**კატალინა კასტანო** (1, კოლუმბია) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:7 6:1 6:3; **ლურდეს დომინგეს-ლინო** (5, ესპანეთი) — ლუსი ჰრადეცკა (ჩეხეთი) 7:6 6:4



# როდიკს კონორსი მოუხდა

**ენდი როდიკი** ნელ-ნელა ფორმაში შედის და თავის თავს ემსგავსება. თან, როგორც ჩანს, ჯიმი კონორსის ფაქტორიც თავის როლს თამაშობს და ენდი-ბოიც უფრო წყნარად გამოიყურება, ზედმეტს არ ცანცარებს და შესაბამისი შედეგიც მიიღო — ინდიანაპოლისში ფინალში თამაშის შემდეგ, ლოს ანჯელესშიც მეოთხედფინალში გავიდა. თან როდიკმა უკვე სრულყოფილად აამუშავა თავისი ყუმბარმტყორცნი და ეისებსაც უმატებს მატჩიდან მატჩამდე. მაგალითად, კალიფორნიაში ჩატარებულ პირველ შეხვედრაში 14 ეისი ჩააგდო, გუშინ კი — 21.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, კონორსს მაინც სერიოზული მუშაობას მოუწევს, რადგანაც როდიკი ისევ ბევრს სცოდავს, მიღებაზე კვლავ ამაზრზენად გამოიყურება და ამიტომაც "მისცა" ენდი-ბოიმ ერთი სეტი უცნობ თანამემამულე ოუდსემას, მაგრამ კლასის ხარჯზე მაინც გააღწია მეოთხედფინალში.

სეზონის პირველი ნახევრის ამაზრზენად ჩატარების შემდეგ ცოტა გამოსწორდა რობი ჯინეპრი, რომელმაც უკვე მეორე კვირაა, რაც მატჩების მოგება დაიწყო.

„ნელ-ნელა მიბრუნდება თვითრწმენა, თორემ წლეულს ძარ ელა ძალიან ცუდად დავიწყე. ასეთი მოგებები ყველას სჭირდება — როცა შენ საუკეთესო თამაშს ვერ აჩვენებ, მაგრამ მაინც იმარჯვებ. მე მგონი, ვუბრუნდები შარშანდელ ფორმას" — ბედნიერი იყო ჯინეპრი.

საუკეთესო სეზონს ატარებს 22 წლის ფილიპ კოლშრაიბერი, რომელმაც წლეულს აგერ უკვე მეექვსე მეოთხედფინალს უწია. მართალია, ამაზე წინ ის მხოლოდ ერთხელ, ბასტადში წავიდა, მაგრამ ამ, აქამდე არაფრით გამორჩეული გერმანელისთვის ესეც დიდი მიღწევაა.

კიცბიუელში კი მეოთხედფინალში გასასვლელად კოლშრაიბერს მესამე ნომერ ნიემინენის დამარცხება დასჭირდა. გერმანელმა ამას სამი სეტი კი მოანდომა, მაგრამ თამაშით აშკარად სჯობდა მეტოქეს და ახლა ნახევრფინალის საგზურისთვის იბრძოლებს.

ორი წლით მივიწყებული ნიკოლას ლაპენტი ისევ იბრუნებს ძველ, გრუნტის სპეციალისტის სტატუსს და სულ უფრო კარგად გამოიყურება. ეკვადორელმა ამჯერად მასპინძელი შტეფან კუბეკი გაუშვა დასასვენებლად.

სამაგიეროდ, ავსტრიელები იურგენ მელცერმა გაახარა. ტომი რობრედოს გაგდების შემდეგ მელცერმა კიდევ ერთი განთესილი, ანდრეი პაველი ჩამოიშორა გზიდან.

სტენფორდში ტურნირი ნელ-ნელა გახურდა და ამიერიდან უფრო საინტერესო იქნება. აღარ ხუმრობს ვერა ზვონარიოვა, რომელიც დიდებულ ფორმაშია და დამდეგ მეოთხედფინალში აუცილებლად დიდ პრობლემებს შეუქმნის კიმ კლაისტერსს. ჯახიც ეგ იქნება — ერთიც და მეორეც არაფრის დამთმობნი არ ჩანან.

მოიგო უიმბლდონის შემდეგ კორტზე პირველად გამოსულმა ნიკოლ ვაიდიშოვამ. 17 წლის ჩეხმა თავის სტილში, მძლავრი თამაშით დაჯაბნა სიბილ ბამერი. მოიგეს სხვა განთესილებმაც — ანა-ლენა გრონეფელდიც და პატი შნიდერიც აგრძელებენ ტიტულისთვის ბრძოლას.

**ბახა ლომაშვილი**

# მაკა მაკარონის ქვეყანაში

**ქართული** ქალთა ჩოგბურთის პირველმა ნომერმა მაკა ჩახნაშვილმა იტალიური მონტენორი დარბიას თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე შეჯიბრის ნახევარფინალს უწია და გზად სერბი ანა ტიჩოტიჩის შემდეგ კიდევ ორი მეტოქე ჩამოიცილა. მეორე წრეში მაკამ WTA-ს კლასიფიკაციის 282-ე ნომერს, სლავური წარმოშობის ახალზელანდიელ მარიანა ერკოვიჩს 7:5 6:3 მოუგო, ხოლო მეოთხედფინალში, რეიტინგით მასზე მაღლა მყოფ იტალიელს, მონტენორი დარბიაში მე-3 ნომრად განთესილ ვალენტინა სასის ორ სეტში 6:2 6:3 აჯობა.

ნახევარფინალში ჩახნაშვილი, უკვე ტურნირის პირველ ნომერს, რუმინელ ედინა გალოვიჩს ხვდება. ეს გალოვიჩი 21 წლის გახლავთ და ქალთა მიმდინარე რეიტინგში



**XII ეტაპი გერმანიის დიდი პრიზი**

**ჰოკენჰაიმრინგი**

*ჰოკენჰაიმი, 30 ივლისი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- 4.574 კმ
**რბოლის დისტანცია** -------------------- 67 წრე — 306.458 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 ალონსო (რენო); 2 მონტოია (მაკლარენი); 3 ბატონი (B.A.R.); 4 ფიზიკელა (რენო); 5 მ. შუმახერი (ფერარი); 6 რ. შუმახერი (ტოიოტა); 7 კულჰარდი (რედ ბული); 8 მასა (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — რაიკონენი (მაკლარენი) 1.13,8 (223,2კმ/სთ)





მიხაელ შუმახერი და ფერნანდო ალონსო: ჰოკენჰაიმში ომი იქნება

# ბრძოლა რბოლამდე

**„ფორმულა** 1 უცნაური რამ არის. აქ სიტუაცია, შეიძლება, უცაბედად შეიცვალოს და თითქოსდა კომფორტული უპირატესობა მომენტალურად გაქრეს და დადნეს. ყოველთვის ასე იყო — ერთ ლიდერს მეორე ცვლიდა და ჩვენ გვჯერა, რომ მიმდინარე სეზონშიც ასე მოხდება. ამ წუთისთვის „ფერარის" მთავარი ამოცანაა, გააგრძელოს მეტოქეების მიმართ პრესინგი, აიძულოს ისინი, შეცდომები დაუშვან და აჩვენოს მაქსიმალურად საუკეთესო შედეგი ყველა დარჩენილ რბოლაში. თუ ამ ამოცანას შევასრულებთ, მაშინ ტიტულისთვისაც ვიბრძოლებთ. ჩვენ ძლიერი სული გვაქვს და გვსურს, მოვიგოთ ეს ჩემპიონატი" — ზედიზედ ორი გამარჯვების, ამერიკისა და საფრანგეთის დიდი პრიზების მოგების შემდეგ, მიხაელ შუმახერის ოპტიმიზმს ნამდვილად გააჩნია საფუძველი და მშობლიური, გერმანიის დიდი პრიზის წინ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, უკვე წინასარბოლო განცხადებებით ცდილობს შექმნას ის ფონი, რომელიც მას მიმდინარე სეზონის ლიდერის, ფერნანდო ალონსოს დამარცხებას შეაძლებინებს.

თავის პილოტს კვერს „ფერარის" შეფი, ლუკა დე მონტეძემოლოც უკრავს: „ზედიზედ ექვსი წელი ჩემპიონები ვიყავით. შარშან მცირე შესვენება მოვიწყვეთ და ახლა ისევ მზად ვართ საჩემპიონო ბრძოლისთვის. სეზონის სტარტზე, მალაიზიასა და ავსტრალიაში ქულები რომ არ დაგვეკარგა, ახლა პირველ ადგილზე ვიქნებოდით, მაგრამ არაფერია, ჰოკენჰაიმში ისეთივე ძლიერები უნდა ვიყოთ, როგორებიც მანი კურში ვიყავით და მერე ყველაფერი გამოსწორდება."

„ფერარი" საბრძოლველადაა განწყობილი, მაგრამ მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ამ წუთისთვის ჩემპიონატს არა „ფერარი" და შუმახერი, არამედ „რენო" და ალონსო ლიდერობენ და ალონსო, ამერიკულ ჩავარდნას თუ არ ჩავთვლით, წელს საოცრად სტაბილურია — მეორე ადგილზე ქვევით არც ერთ რბოლაში არ ჩამოსულა.

ბუნებრივია, ოპტიმიზმი არც ესპანელს აკლია: „ჩვენ ბრწყინვალედ ჩავატარეთ სეზონის პირველი ნახევარი და ახლა ისღა დაგვრჩენია, კარგად დაწყებული საქმე კარგადვე დავასრულოთ. გუნდი ამისთვის მზად არის და მეც მზად ვარ. დარწმუნებული ვარ, სეზონის ფინიში ფანტასტიკური იქნება. ამისთვის ელემენტარულის გაკეთებაა საჭირო — უნდა დავამარცხოთ მიხაელი ყოველ მომდევნო რბოლაში და, პირველ რიგში, ჰოკენჰაიმზე. გერმანიაში გამარჯვება დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოგვცემს."

აი, ასეა — მთავარმა ფავორიტებმა ბრძოლა რბოლამდე დაიწყეს. ოლონდაც, ეს სიტყვიერი ბრძოლაა და ყველაფერი, მაინც ხვალ გამოჩნდება, როდესაც ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე გერმანიის დიდი პრიზი გათამაშდება.



## სიცილი პრემიერაზე

აპა, დები უილიამსები ფილმის პრემიერაზე. ახალი კინოა: „რიკი ბობის ბალადა. ცხადია, ჰოლივუდში არიან.

# ჰოუმრანი

ეს არის ჰოუმრანი: თანაც სუპერსანახაობრივი. სანდიეგოელი დამჭერი მარკ ბელტონი ტრიბუნებს ნეული ბურთის დაჭერას ლამობს. ბეისბოლის პატარა ბურთისთვის კი აგრე ძალუმად ლოსანჯელესელ ოლმედ საენსს დაუკრავს. სანამ სანდიეგოელი წვალობს, ლოსანჯელესელები წყნარად ჰოუმრანობენ.





## გულწასული

სარატოგას დოღის დროს, ზედ სწორზე გულწასული ცხენი ფრენსის ჯი. ჟოკეი კელვინ ბორელი უვნებლად გადარჩა. ცხენი გონს კი მოვიდა, მაგრამ რაღადროს იყო.



# აიოვას კვირეული

ლენს არმსტრონგი, ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი ხალხს ესალმება აიოვას შვიდდღიანი რალის დაწყების წინ. ლენსი თავადაც ჩაერთო რბოლაში, ერთი გარბენი მოილია და, კვირის ბოლოს ისევ მოვაჯდები რკინის ცხენსო, თქვა.

## ფეხბურთი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. II ტური

კონკორდია 0:2 ლუგანო
ძსამაძსი 3:0 ბელინცონა
სერვეტი 2:0 დელემონი

### პოლონეთი

პირველი ლიგა. I ტური

ვიძევი 2:1 გროცლინი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი
XVIII ტური

შელბურნი 3:0 სლიგო
კორკი — სენტ პატრიკსი

*გადაიდო*

### საფრანგეთი

II დივიზიონი. I ტური

აიაჩო 1:1 ნიორი
კაენი 2:1 ლიბურნი
შატორუ 3:1 ტური
კრეტეი 0:0 გენგამი
გრენობლი 3:2 მონპელიე
ისტრი 2:2 ბასტია
ლე ავრი 1:3 ამიენი
რეიმსი 2:0 ბრესტი
სტრასბური 0:0 დიჟონი

### ბელგია

იუპილერლიგა
I ტური

ბრიუგე 5:0 გენტი

### ამხანაგური მატჩები

იუვენტუსი (იტალია) 3:1 ტრენტო (იტალია)
უდინეზე (იტალია) 3:2 ლოკომოტივი (ბულგარეთი)
ფრაიბურგი (გერმანია) 3:0 სლავია (ბულგარეთი)
ვერდერი (გერმანია) 0:1 ბორდო (საფრანგეთი)
ბლექბერნი (ინგლისი) 0:5 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
კიოლნი (გერმანია) 2:1 ალკმაარი (ჰოლანდია)
პადერბორნი (გერმანია) 0:0 ვოლფსბურგი (გერმანია)
მიონხენგლადბახი (გერმანია) 1:0 გალათასარაი (თურქეთი)
ორჰუსი (დანია) 0:3 ბარსელონა (ესპანეთი)
სენტ ეტიენი (საფრანგეთი) 1:1 სელტა (ესპანეთი)
დონკასტერი (ინგლისი) 2:0 მიდლსბრო (ინგლისი)
კარდიფი (უელსი) 1:1 ოსერი (საფრანგეთი)
ლესტერი (ინგლისი) 0:0 სოსიედადი (ესპანეთი)
იფსვიჩი (ინგლისი) 0:2 ლაციო (იტალია)
ესპანიოლი (ესპანეთი) 0:1 ვილიარეალი (ესპანეთი)
დეპორტივო (ესპანეთი) 1:0 ბენფიკა (პორტუგალია)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge